

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ქობულეთი ტრედი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ ქობულეთი ტრედი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.ქობულეთი

2019


ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ბლადაძე
დირექტორი



2019 წლის 18 დეკემბერი
ქობულეთი, საქართველო

გიორგი ხახუტაიშვილი
ბუღალტერი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ქობულეთი ტრედი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7-15
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	8
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	8
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	8
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	12
შენიშვნა 5. ამონაგები	Error! Bookmark not defined.
შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები	Error! Bookmark not defined.
შენიშვნა 7. სხვა ხარჯები	Error! Bookmark not defined.
შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები	Error! Bookmark not defined.
შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	Error! Bookmark not defined.
შენიშვნა 10. მარაგი	Error! Bookmark not defined.
შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	Error! Bookmark not defined.
შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	Error! Bookmark not defined.
შენიშვნა 13. სასესხო ვალდებულებები	Error! Bookmark not defined.
შენიშვნა 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	Error! Bookmark not defined.
შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	12
შენიშვნა 16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	Error! Bookmark not defined.
შენიშვნა 17. მსს ფასს-ზე გადასვლა	12
შენიშვნა 18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	13

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ბლადაძე
დირექტორი

2019 წლის 18 დეკემბერი
ქობულეთი, საქართველო

გიორგი ბახუტაიშვილი
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ქობულეთი ტრედი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

შინაარსი	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	1	175349	155112	115846
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	117922	49506	63204
მარაგი	3	94800	117740	212697
სხვა მიმდინარე აქტივები	4	518001	216300	
სულ მიმდინარე აქტივები		906072	538658	200747
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	35200	44000	54130
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	6			
სულ გრძელვადიანი აქტივები		35200	44000	54130
სულ აქტივები:		941272	582658	254877
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	324445	266361	255955
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	8			
საგადასახადო ვალდებულებები	9	(1174)	(3)	(1078)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		323271	266358	254877
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულებები	10	100000	100000	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		423371	366358	0
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი	11			
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	12	518001	216300	
რეზერვები	13			
სულ საკუთარი კაპიტალი				
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		941272	582658	254877

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ბლადაძე
დირექტორი

2019 წლის 18 დეკემბერი
ქობულეთი, საქართველო

გიორგი ხახუტაიშვილი
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ქობულეთი ტრედი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ზლადაძე
დირექტორი

2019 წლის 18 დეკემბერი
ქობულეთი, საქართველო

გიორგი ხახუტაიშვილი
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ქობულეთი ტრედი"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

შინაარსი	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები		3801550	3174767
სხვა შემოსავლები			
ცვლილებები მარაგის ნაშთში		12930	94840
შემენილი ნედლეული და მასალები		-3229473	-2771257
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		-103577	-69625
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი			
საპროცენტო ხარჯი		-11503	-1072
იჯარის ხარჯი		-27350	-61326
კომუნალური ხარჯები			
სხვა ხარჯები		-38176	-46575
ფინანსური ხარჯები		-66830	-103452
მოგება დაბეგვრამდე		301701	216300
საგადასახადო ხარჯი			
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა		301701	216300
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში			
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		216300	
დივიდენდები			
განაცემები კაპიტალიდან			
შეცდომების გასწორება			
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგი			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		518001	216300

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ბლადაძე
დირექტორი

2019 წლის 18 დეკემბერი
ქობულეთი, საქართველო

გიორგი ხახუტაიშვილი
ბუღალტერი

7-15 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ქობულეთი ტრედი"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ქართულ ლარში)

შინაარსი	კაპიტალი	რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
1.1.2017 წაშთი			100255	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				0
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება			0	0
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი				0
31.12.2017 წაშთი			216300	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				0
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება			0	0
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი			301701	0
31.12.2018 წაშთი			518001	0

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ბლადაძე
დირექტორი

2019 წლის 18 დეკემბერი
ქობულეთი, საქართველო

გიორგი ხახუტაიშვილი
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ქობულეთი ტრედი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2018	31.12.2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	155112	115846
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან საქმიანობიდან		
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	20237	39266
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	175349	155112

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ბლადაძე
დირექტორი

2019 წლის 18 დეკემბერი
ქობულეთი, საქართველო

გიორგი ხახუტაიშვილი
ბუღალტერი

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქობულეთი ტრედი რეგისტრირებულია 2014 წლის 22 სექტემბერს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართით საქართველო, ქობულეთი, სოფელი კვირიკე, საწარმო დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია ფიზიკური პირი ედნარ ხინიკაძე.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა უალკოჰოლო სასმელების დისტრიბუცია.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2018 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ბლადაძე
დირექტორი

2019 წლის 18 დეკემბერი
ქობულეთი, საქართველო

გიორგი ხახუტაიშვილი
ბუღალტერი

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ბლადაძე
დირექტორი

2019 წლის 18 დეკემბერი
ქობულეთი, საქართველო

გიორგი ხახუტაიშვილი
ბუღალტერი

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ბლადაძე
დირექტორი

2019 წლის 18 დეკემბერი
ქობულეთი, საქართველო

გიორგი ბახუტაიშვილი
ბუღალტერი

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივითა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ზღადაძე
დირექტორი

2019 წლის 18 დეკემბერი
ქობულეთი, საქართველო

გიორგი ხახუტაიშვილი
ბუღალტერი

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლილება, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც საღირსეზო შეფასების ცვლილებას.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენები.

შენიშვნა 6. მსს ფასს-ზე გადასვლა

საღირსეზო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ბლადაძე
დირექტორი

2019 წლის 18 დეკემბერი
ქობულეთი, საქართველო

გიორგი ხახუტაიშვილი
ბუღალტერი

წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მის ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემო-ებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირების აუცილებლობა.

შენიშვნა 7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 17 დეკემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ზლადაძე
დირექტორი

2019 წლის 18 დეკემბერი
ქობულეთი, საქართველო

გიორგი ხახუტაიშვილი
ბუღალტერი

7-15 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.